საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა[1]

გასული საუკუნის დამდეგს ერთმორწმუნე რუსეთთან ნებაყოფლობის შეერთებით საქართველომ მოიპოვა სრული საგარეო უშიშროება, რასაც ის მოწყურებული იყო თამარ მეფის დროიდან ექვსი საუკუნის მანძილზე, რომლის განმავლობაში მას მოსვენება არ ჰქონდა არც დღისით, არც ღამით ყოველი მხრივ გარეშემორტყმული მტრების განუწყვეტელი თავდასხმების გამო. თავის მხრივ რუსეთმაც უდიდესი სარგებლობა ნახა ამ ნებაყოფლობითი შეერთებით. რუსეთმა გაიფართოვა ტერიტორია საქართველოს მიწაწყლით,მტკიცედ დამკვიდრდა იქ და ქართველების აქტიური დახმარებით დაიპყრო ამიერკავკასიის სახანოები, შემდგომ დაიმორჩილა კავკასიის თითქმის მიუალი ციხე-სიმაგრეები, აიძულა სპარსეთი და თურქეთი ქედი მოეხარათ მისი მძლავრი გავლენის წინაშე და თავისი ძალაუფლება დაამყარა და უაღრესად განამტკიცა შუა აზიაში.

მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველები უაღრესად თადადებულ ერთგულებას იჩენდნენ მეფე იმპერატორის და თავიანთი ახალი სამშობლოს-რუსეთის მიმართ. თითქოს, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ სრული თანასწორუფლებიანობით ესარგებლათ თავიანთ ერთმორწმუნე რუსებთან ერთად; მაგრამ ეს ასე არ იყო... განსაკუთრებით გავლენა იქონია პოლონეთის აჯანყებამ სამოციან წლებში. კანცლერ გორჩაკოვის ნათქვამი, პოლონელები რუსებს მიუნდობელს გახდიან და გააბოროტებენ სხვა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, მთელი სიძლიერით ასრულდა ქართველების მაგალითზე. სრულიად საწინააღმდეგო მოხდებოდა, ადამიანთა საქმეებს სამართლიანობა და ლოგიკა რომ განაგებდეს. მართლაც, პოლონელები აჯანყდნენ და კიდევაც დაისაჯნენ. ქარველები არ აჯანყებულან, არც უფიქრიათ აჯანყება, რუსებზე არანაკლებ კიცხავდნენ აჯანყებულ პოლონელებს და სრულ ერთგულებას იჩენდნენ. მაშასადამე, ისინი უნდა დაეჯილდოებინათ. სინამდვილეში კი მათ მიმართ ყველა ის რეპრესიული ზომების გამოყენება დაიწყეს, რომელთაც დაცხრომილ პოლონეთში იყენებდნენ. თუ როგორ რადიკალურად იცვლებოდა ერთი და იმავე პიროვნების შეხედულება დასავლეთი განაპირა მხარის აზრთა მიმართულების გავლენით, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი. საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსი არქიეპისკოპოსი ევსევი ქართველებს ეპყრობოდა პირდაპირ ამაღლებული სიმპათიით. რუსეთიდან თბილისის სემინარიაში ჩამოსულ რუს ჭაბუკებს იგი უკანვე ისტუმრებდა და ასე ეუბნებოდა: თქვენ გამიფუჭებთ ჩემს ქართველებს, გაბრუნდით უკანვე რუსეთშიო. მაგრამ სამოცდაათიანი წლების დამდეგს თბილისში პოლონეთიდან გადმოიყვანეს ორი მოხელე დიდ თანამდებობაზე და ისინი ყოველდღე მოდიოდნენ მეუფესთან. და როგორ გგონიათ? მისი დამოკიდებულება ქართველებისადმი ისეთი შარიანი და უსამართლო გახდა, რომ უმაღლესი ხელისუფალნი

[1] ეს წერილი გოგებაშვილს რუსულად აქვს დაწერილი, როგორც ჩანს ერთ-ერთ რუსულ პერიოდულ გამოცემაში გამოსაქვეყნებლად. წერილი ქართულად ითარგმნა სიმონ შონიას მიერ. დედანი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ი.გოგებაშვილის არქივის ფონდში.

იძულებული გახდნენ გადაეყვანათ იგი უფრო დაბალ თანამდებობაზე, სახელდობრ მარტო კათედრის გამგედ.

ვიდრე კავკასიის მხარის მართებლობის სათავეში იდგა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლზის-ძის მაღალი პიროვნება, ანტიქართული მიმართულება ხმაჩაკმედილი იყო. მაგრამ ეს ანტიქართული მიმართულება მტრული თვალით უყურებდა იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის გუბერნიების მართვა-გამგეობას უავგუსტესი მეფისნაცვალი ავალებდა ქართველებს და თვით თავის თანაშემწეებადაც კი ქართველები ჰყავდა. რასობრივ ქიშპს არ აცხრობდა ის ფაქტი, რომ ქართველები უაღრესად პასუხსაგებ პოსტებზე სავსებით თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე იდგნენ და ბრწყინვალედ ამართლებდნენ მისი უდიდებულესობის ნდობას. ასე, მაგალითად, დაღისტნის მართვა-გამგეობა მისი დაპყრობის დღიდანვე დაევალა თავად ლევან მელიქოვს, ხოლო შემდგომ თავად ჭავჭავაძეს და ეს მშფოთვარე მხარე უაღრესად მშვიდობიანი და ლოიალური გახდა იმ ტაქტის წყალობით, რომლითაც განაგებდა მას ეს ორი ნიჭიერი ქართველი.

როგორც კი მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ დატოვა ეს მხარე, ანტიქართული მიმართულება ამოდის კალაპოტიდან და ფართო ნიაღვრად ედება ყველა უწყებას და ამჟამად ქართველები ყველაზე დაჩაგრული, ყველაზე შეურაცხყოფილი ეროვნებაა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნულ უმცირესობათაგან. აი ამის ურყევი ფაქტები.

წინა კავკასიის ადმინისტრაცია სავსე იყო ქართველებით, მათ ეკავათ უმაღლესი პოსტები და სახელმწიფოს ემსახურებოდნენ წმინდა ქართველური ერთგულებით. ამჟამად კი ქართული ელემენტი თითქმის სავსებით განდევნილია. მთავარმართებლის საბჭოში, რომლის ნახევარს წინათ ქართველები შეადგენდნენ, ახლა არცერთი ქართველი აღარაა. დღეს გუბერნატორის არცერთი პოსტი არ უკავია ქართველს, თუმცა ამჟამად ქართველებში ბევრია ისეთი პირნი, რომელნიც სამსახურს გაუწევდნენ სახელმწიფოს ამ პასუხსაგებ თანამდებობებზე და ისეთსავე სარგებლობას მოიტანდნენ, როგორც წინათ: მელიქოვები, ჭავჭავაძეები, ანდრონიკოვები, ორბელიანები და სხვა... ვიცეგუბერნატორის პოსტი დიდიხანია უჭირავს წარჩინებულ ქართველს, რომელსაც თავისი განათლებით, ტაქტით, გამოცდილებით, უაღრესი პატიოსნებით და იშვიათი საქმიანობით სასახელოდ შეეძლო მთელი მხარის მართვა-გამგეობა და არა მხოლოდ გუბერნიისა. ის ერთადერთი ქართველი ვიცეგუბერნატორია. ამიერკავკასიის ყველა გუბერნიაში მაზრის უფროსებად უმეტეს ნაწილად ქართველები იყვნენ; ამაჟამად ისინი ორი-სამი თუა და მათაც ის იმედი ასულდგმულებს, რომ დღეს თუ არა ხვალ აღარ იქნებიან. მაზრის უფროსთა თანაშემწეების თანამდებობებსაც კი თანდათან იკავებენ მონათლული ებრაელები, გერმანელები, ფსევდორუსები, რომელთაც განათლების არავითარი ცენზი არ აქვთ. ასე, მაგალითად, საქართველოს ცენტრალურ მაზრაში-გორის მაზრაში-მაზრის უფროსიც და მისი თანაშემწეც არათუ ქართველები არ არიან, არამედ ისეთი პირებია, რომელნიც სრულიად არ იცნობენ ადგილობრივ პირობებს. ჯერჯერობით ქართველების ხელში მარტო ბოქაულებისა და სოფლის მწერლების ადგილებია

კიდევ მეტი, გლეხთა საკრებულოშიც კი ყველა წევრი და თვით მდივანიც არაქართველებია; ამ ცოტა ხნის წინათ კი წევრთა უმეტესობა და მდივანიც ქართველები იყვნენ.

სასამართლო უწყებაშიც ასეთივე სავალალო მოვლენას ვხედავთ. სამოსამართლო პალატაში მხოლოდ ერთი ქართველია, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოებში მხოლოდ თითო ქართველია, გამონაკლისის სახით. მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობანი წინათ ეკავათ ქართველებს, ახლა ერთ-ორს... (გაურკვეველია.შემდგენ) ქართველების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია სასწავლო უწყებაში. სამზრუნველოს საბჭოს შემადგენლობაში ერთი ქართველიც აღარ არის.მზრუნველის კანცელარიაც ნაკრძალი ადგილია ქართველებისთვის.დირექტორთა შორის მხოლოდ ერთი ქართველია და ისიც ამასწინათ შორეულ გუბერნიაში დანიშნეს;ამიერკავკასიის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორის თანამდებობაზეც კი მხოლოდ ერთი ქართველია.თვითეულ საშუალო სასწავლებელში ქართველთა რიცხვი ორს არ აღემატება.სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორებად წინათ უმთავრესად ქართველები იყვნენ;ახლა კი ისინი ფრიად ცოტანი არიან.სოფლის სკოლების მასწავლებლებადაც კი უკანასკნელ ხანებში ნიშნავენ არაქართველებს

საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე ქართველები ძალიან ცოტანი არიან. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1890 წლის ანგარიშის მიხედვით საშუალო სასწავლებელში რუსები იყვნენ ამდენი და ამდენი, ქართველები ამდენი და ამდენი და სომხები ამდენი და ამდენი, ეს ციფრები სრულიად არ შეესაბამება ამ სამი ეროვნების მცხოვრებთა რაოდენობას. რუსები ამდენი და ამდენია, ქართველები-ამდენი და ამდენი, სომხები - ამდენი და ამდენი. რატომაა ქართველები ასე ცოტა? შეიძლება იმიტომ, რომ წარმატებას ვერ იჩენენ სწავლაში? სრულიადაც არა. გადაათვალიერეთ სასწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშები და სვეტი „მოსწავლეთა შედარებითი წარმატება ეროვნებათა მიხედვით“ დაგარწმუნებთ, რომ სასწავლებელთა უმეტესობაში ქართველები წარმატების მხრივ სჯობიან სომხებს და ზოგჯერ რუსებსაც. ქართველ მოსწავლეთა მცირერიცხოვნობის მიზეზები სხვაა: უქონლობა საშუალო სასწავლებლებთან მოსამზადებელი კლასებისა, სადაც სოფლელი ქართველები მოამზადებდნენ ბავშვებს რუსულ ენასა და სხვა დაწყებითს საგნებში; დიდი სწავლის ფული, რის გადახდაც ეკონომიურად ხელმოკლე ქართველებს არ შეუძლიათ; ქართველებისთვის პანსიონებში გამოყოფილი ვაკანსიების სიმცირე(გაურკვეველია). ამ მიზეზების თავიდან აცილება ადვილად შეეძლოთ სასწავლო ხელისუფალთ; მაგრამ ამაზე ისინი სრულიად არ ზრუნავენ. კავკასიის სასწავლებლებში საღვთო სჯულს ასწავლიან დედაენაზე: გერმანელებს, პოლონელებს და საერთოდ ეროვნულ უმცირესობათა ყველა მოწაფეს და ასწავლიან იმავე ტომის მასწავლებლებს. ერთადერთ სამწუხარო გამონაკლისს შეადგენენ ქართველები, რომელთაც აიძულებენ საღვთო სჯული ისწავლონ რუსულ ენაზე, რუსებთან ერთად, რაც მეტისმეტად ცუდ გავლენას მოახდენს მათ რელიგიურ აღზრდაზე. წინათ ეს უსამართლობა იმაში გამოიხატებოდა, რომ საღთო სჯულის მასწავლებლად როგორც ვაჟთა, ისე ქალთა საშუალო სასწავლებლებში თითქმის მარტო ქართველები იყვნენ და ისინი ხანდახან წირვის ნაწილს ქართულად ასრულებდნენ, ახლა კი საღვთო სჯულის მასწავლებლის თითქმის ყველა

ადგილიდან ქართველები განდევნილია რუსების მიერ და ქართველ მოსწავლეებს არასდროს არ ესმით არც ერთი ლოცვა მშობლურ ენაზე.

ქართული ენა სავალდებულო საგანი იყო სამოცდაათიან წლებამდე. მაგრამ როცა პოლონეთის აჯანყების შემდეგ გაუქმებულ იქნა სწავლა პოლონურ ენაზე, როგორც კერძო საგანი, ეს რეპრესიული ღონისძიება გაავრცელეს ქართულ ენაზეც, თითქოს ქართველებსაც მოეხდინოთ აჯანყება. საკვირველი ისაა რომ, იმ დროს როცა პოლონური ენა იმავე სავალალო მდგომარეობაში რჩება, ვინაიდან ქართველებისთვის ნების დართვა- ენა ისწავლონ მხოლოდ პირველ სამ კლასში და ისიც მეექვსე გაკვეთილზე და არა უმეტეს ორი გაკვეთილისა კვირაში და თან ცალკე ფულის გადახდით, ამას სჯობია სულაც არ ასწავლონ. საქართველოში სახალხო სკოლები დიდი რაოდენობითაა, მაგრამ ისინი სრულიად ცარიელია, არათუ არავითარ განვითარებას, არც გონებრივს და არც ზნეობრივს, არ იძლევიან, არამედ უბრალო წერა-კითხვასაც კი ვერ ავრცელებენ. სოფლებში, სადაც სახალხო სკოლა დაახლოებით მეოთხედი საუკუნეა მუშაობს, თქვენ ვერ იპოვით ისეთ პირთ,რომელთაც შეეძლოთ სოფლის დადგენილებათა ხელმოწერა ან წიგნებში ცნობების ჩაწერა მოსახლეობის შესახებ. 1897 წელს საყოველთაო აღწერის დროს პოლიციის მოხელენი ბევრ სოფელში ვერ პოულობდნენ წერა-კითხვის მცოდნეს ვერც დედაენაზე და ვერც რუსულ ენაზე და იძულებული იყვნენ თვითონ ჩაეწერათ საჭირო ცნობები. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. სამწლიანი, მეტად მცირე კურსი, ქართული ენის დიდი შევიწროება, მისი არ ცოდნა ინსპექტორებისა და დირექტორების მიერ, რაც საშუალებას უსპობს მათ კონტროლი გაუწიონ- რამდენად შეგნებულად ასწავლიან და ითვისებენ, აი ის მთავარი მიზეზები, რომელნიც უსარგებლოდ ხდიან სახალხო სკოლებს. შემდგომ ხანებში ამ მიზეზებს დაერთო: თვალთმაქცური ნატურალური მეთოდის შემოღება, რაც ნამდვილი შემაფერხებელი იყო მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ენის შეთვისებისა და მასწავლებლად სოფლადაც კი ისეთ პირთა დანიშვნა, რომელთაც სრულიად არ იცოდნენ ქართული ენა და სხვ.. სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხი სავსებით მოკლებულია სასარგებლო სახალხო სკოლას, რომელიც არსებითად არსებობს მხოლოდ სწავლების პროცესისათვის და არა იმისათვის, რომ ნაყოფი მოიტანოს. კიდევ მეტიც, სკოლაში მოსწავლე სოფლელი ბავშვები უფრო ნაკლებ საზრიანნი, უფრო ველურნი და უფრო ნაკლებ შრომისმოყვარენი არიან, ვიდრე ისინი, ვინც გადაურჩა სკოლის გამომაყეყეჩებელ გავლენას.

ქართველი მოსახლეობა მიწის მხრივაც მეტად შევიწროებულია. უწინარეს ყოვლისა ბატონყმობა ფაქტიურად დღესაც არსებობს საქართველოში და უარესი ფორმითაც, ვიდრე გლეხთა განთავისუფლებამდე იყო. ჩვენში დროებით-ვალდებული გლეხები სამუდამოდ ვალდებულ-გლეხებად გადაიქცნენ, რადგან ჩვენში არავინ ზრუნავს ნადელების გამოყიდვაზე, ყველაზე ნაკლებ კი ზრუნავენ საგლეხო საკრებულოს წევრები, რომელთაგან ქართული ენა არავინ იცის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. თავისუფალი სახელმწიფო მიწები არათუ ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში, არამედ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიც ამჟამად ქართველებისთვის აკრძალული ხილია. დიახ, მიწა, რომელიც მთლად ქართველთა სისხლითაა გაჟღენთილი და რომელიც სანახევროდ ქართველთა ძვლებითაა მოფენილი, არ შეიძლება უკიდურესად გაჭირვებულ ქართველს მიეცეს დასამუშავებლად. შავიზღვის სანაპიროებზე სახელმწიფო მიწებს ადვილად ღებულობენ რუსებს გარდა გერმანელები,

მოლდაველები, ესტონელები, ლატვიელები და სომხები; -მხოლოდ ქართველებს ეუბნებიან კატეგორიულ უარს. სადამდე მიდის აქ მისწრაფება შავიზღვის სანაპიროებიდან ქართველთა გაძევებისა - ამას ცხადყოფს შემდეგი ფაქტი. სოხუმში ქალაქის თავად ორჯერ აირჩიეს თითქმის ერთხმად ბ-ნი ალექსანდრე სარაჯევი, ადგილობრივი მიწათმფლობელი და ორჯერვე არ დაამტკიცა ის კავკასიის ადმინისტრაციამ. ვინ არის სარაჯევი? მამით ქართველი, დედით-რუსი. ცოლად ჰყავს რუსი ქალი და მის მრავალწევრიან ოჯახში გაბატონებულია დედის-რუსული-ენა. მრავალი წლის განმავლობაში დაღისტნის ოლქისა და ელიზავეტპოლის გუბერნიის გუბერნატორის კანცლერიის მმართველი იყო, ხოლო ქალაქის თავად არჩევის დროს უკანასკნელი გუბერნიის საგუბერნიო საკრებულოს მრჩეველი იყო. იგი ყველა იმ რუსის დიდი პატივისცემით სარგებლობდა და სარგებლობს, ვინც მას კარგად იცნობდა, მისი ბრწყინვალე სამსახურის, უმწიკვლო პატიოსნების, იშვიათი საქმიანობისა და ფართო ევროპული განათლების გამო. და მას ამჯობინეს სხვა ვინმე, ისიც არარუსი, არამედ სხვა ერისა, რომელსაც საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული და სახელმწიფო სამსახურიდან იყო დათხოვნილი რუსეთში. მერე რისთვის უარყვეს მისი კანდიდატურა, უვარგისობის გამო? იმისთვის, რომ სანახევროდ ქართველია.

ქართველებისთვის თავისუფალი სახელმწიფო მიწების მიცემის აკრძალვა ბევრ მათგანს მძიმე მდგომარეობაში აყენებს, რადგან ახლა საქართველოში მცირემიწიანობა და უმიწაწყლობა მის შვილთა მთავარი გასაჭირია. მიწის საჭიროება იქამდე მიდის, რომ ერთი დესეტინა მიწა ბევრ ადგილას ათას მანეთზე მეტი ფასობს. უმიწაწყლო ქართველ გლეხებს უკიდურესი გაჭირვება მიერეკება ჩრდილო კავკასიაში, სადაც ისინი უჩვევი ცივი ჰავისა და სხვა არახელსაყრელი პირობების გამო მრავლად იღუპებია.

ქართველების მეტად სავალალო ეკონომიკური მდგომარეობა უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გაუარესდა ახალი დიდი გადასახადის შემოღებით სოფლის ჩაფრების შესანახად, ყაჩაღობასთან საბრძოლველად რომ შექმნეს. ამ, ძვირადღირებული, ღონისძიებით ყაჩაღობა სრულიადაც არ მცირდება, პირიქით, იზრდება კიდეც, და არც შეიძლება არ გაიზარდოს, რადგან მისი წარმოშობის მთავარი მიზეზი-მოსახლეობის ეკონომიური საიღარიბე იზრდება ახალი გადასახადის გამო. სხვაგან სამწუხარო შედეგებს სპობენ მიზეზის მოსპობით, ჩვენში კი, პირიქით, ბოროტების მიზეზს აძლიერებენ და ამით ფიქრობენ ბოროტების აღმოფხვრას. არაჩვეულებრივ ჭკვიანურია, არა? მაგრამ ყაჩაღობა მხოლოდ მკაფიო გამოხატულებაა საერთო დემორალიზაციისა,რაც ჩვენში წინათ გაუგონარ ფორმებს იღებს, მაგალითად: ფიცის გატეხა, მკრეხელობა, ეკლესიებისა და მონასტრების გაძარცვა, ცეცხლის წაკიდება მტრობის გამო, სქესობრივი გარყვნილება და სხვა უმსგავსოებანი.

მერე როგორ არ უნდა გაჩნდეს და გაძლიერდეს დემორალიზაცია, როცა ჩვენში ეთიკური ცხოვრების არავითარი საყრდენი აღარ არის. სახალხო სკოლა ჩვენში მოკლებულია ყოველგვარ...(გაურკვეველია.შემდგენ) და წესიერად აღზრდის ნაცვლად უფრო ამახინჯებს ბავშვებს. ხალხის ცხოვრების მეორე საყრდენია ეკლესია, მაგრამ ჩვენში ის სკოლაზე უარესს მდგომარეობაშია ჩაყენებული და მოკლებულია საშუალებას აღმზრდელობითი გავლენა იქონიოს მოსახლეობაზე. რადგან ეს საკითხი მეტად დიდმნიშვნელოვანია, ცოტა უფრო დიდხანს შევჩერდებით მასზე.

ქართველთა ჩაგვრა ისე მკაფიოდ არაფერში ჩანს, როგორც საეკლესიო სფეროში. რუსეთის ყველა სხვა ეროვნებას ჰყავს თავისი ეკლესიის მეთაური, თავისი სასულიერო იერარქია, აქვს თავისი სასწავლებლები, ჰყავს თავისი უფროსები, ახალგაზრდებს სასულიერო საგნებს დედაენაზე ასწავლიან, ამავე ენაზე ასრულებენ წირვას. სხვანაირად შეუძლებელიცაა. მაგრამ ის, რაც შეუძლებლად არის მიჩნეული ყველა სხვა ტომის მიმართ, სრულიად შესაძლებლად მიაჩნიათ ქართველთა მიმართ...

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:</u> მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძს საჯარო სკოლის პედაგოგმა, **დარეჯან ცინარიძემ.**

03 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში